ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

# გადაწყვეტილება №3198776

ნომერი: AR1492500

თარიღი : 06.04.2017

გაცემის თარიღი : 10.04.2017

გაცნობის თარიღი : 12.04.2017

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ვარკეთილი-3 , I მ/რ, N13 და N15 კორპუსების მიმდებარედ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- თორნიკე შოთაძე პ/ნ 01030006853
- თბილისი ბ.ხმელნიცკის ქ. N 163 ბ. 43

ნომენკლატურა :

- მიწის ნაკვეთის საზღვრების მომზადება
- მიწის ნაკვეთის საზღვრების კორექტირება (გარდა მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების მიწის ნაკვეთების საზღვრებისა)

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, სივრცითი მოწყობისა და ქალაქმშენებლობის საფუძვლების შესახებ საქართველოს კანონის მე–2, მე–4, მე–9 მუხლების, ქალაქ თბილისის მთავრობის 2008 წლის 22 დეკემბრის N24.16.832 დადგენილებით დამტკიცებული ს.ს.ი.პ. თბილისის არქიტექტურის სამსახურის დებულების მე–2–3 მუხლების თანახმად

გადაწყვეტილება

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენს მიერ AR1492500 ელექტრონულად ატვირთული განცხადება, რომლითაც ითხოვთ ქალაქ თბილისში, ვარკეთილი-3, I მიკრო/რაიონი, #13 და #15 კორპუსების მიმდებარედ , არსებული მიწის ნაკვეთ(ებ)ის (საკადასტრო კოდი N01.19.20.001.030) საზღვრის კორექტირებას; პასუხად გაცნობებთ, რომ თქვენს მიერ წარმოდგენილი ესკიზის მიხედვით ქალაქ თბილისში, ვარკეთილი-3, I მიკრო/რაიონი, #13 და #15 კორპუსების მიმდებარედ , არსებული მიწის ნაკვეთ(ებ)ის (საკადასტრო კოდი N01.19.20.001.030) საზღვრების კორექტირება სამსახურს ქალაქგეგმარებითი თვალსაზრისით შესაძლებლად მიაჩნია (იხ. დანართი). ვინაიდან ცვლილების კანონთან შესაბამისობაში მოყვანა სცილდება სამსახურის კომპეტენციას, თანდართული ესკიზის მიხედვით ცვლილების რეგისტრაციის განხორციელებაზე შემდგომში უნდა მიმართოთ საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს.

---

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, სამსახურის ტექნიკური პრობლემების ცხელ ხაზზე - 2378346, ან ისარგებლოთ არქიტექტურის სამსახურის ონლაინ კონსულტაციის სერვისით, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.